ქართული აზრი
GEORGIAN OPINION

№78 ნიუ-იორკი, იანვარი 1968 წ. GEORGIAN OPINION NEW YORK, JANUARY 1968

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.

იანვარი 1968 წ.

აუნაზღაურებელი მსხვერპლი

თანამედროვე ცხოვრების ნიშანდობლივი თვისება განუსაზღვრელობაა. ტექნიკის უაღრესმა განვითარებამ მოსპო სივრცის და დროს საზღვარი. ამ ტექნიკურ სწრაფვას ადამიანი იმდენად აჰყვა და დაეშორჩილა, რომ ისპობა სოციალური, რასიული, რელიგიური საზღვრებიც და თვით შთამომავლობამაც კი ფასი დაკარგა.

ამგვარ ვითარებაში, ბუნებრივად ისმება საკითხი: არსებობს თუ არა საზღვარი თვით ადამიანში, მის შინაგან სამყაროში? ეს საკითხი უდიდესი მნიშვნელობისაა, რადგან თუ მოისპო ადამიანის შინაგანი სამყაროს საზღვარი, მაშინ ის ჰკარგავს თავისი თავის კონტროლს და მოქმედების პასუხისმგებლობას. ამ შემთხვევაში საჭიროა ისევ ადამიანს მივმართოდ და შეეკითხოდ: ვინა ხარ და რისთვისა სცხოვრობ? ასეთმა შეკითხვამ შეიძლება მეტნაკლებად სხვადასხვა პასუხი გამოიწვიოს, მაგრამ მთავარი უცვლელი იქნება, „შაბლონური: გეტყვიან გვარსა დასახელს, შეიძლება ეროვნება და სქესიც მიამატოს და წლოვანქაც. რისთვისა ცხოვრობს? იმიტომ რომ დაიბადა და უნდა იცხოროს, იმიტომ რომ მას ოჯახი აქვს და უნდა მოუაროს, უკეთეს შემთხვევაში იტყვის, რომ მასაკა აქვს ამბიცია თანამედროვე ცხოვრებაში თავისი წვლილი შეიტანოს და თვითმფრინავის, ან რომელიმე დარგის ერთი ახალი ხრახნილი აღმოაჩინოს!

როგორაც ვხედავთ, ტაქნიკის გავლენით, ადამიანი ჰკარგავს თავის შინაგან სულიერ სამყაროს და თუ ასე გაგრძელდა თვით გადიქცევა ტექნიკური აღმავლობის უბრალო ხრახნილად.

სად არის გამოსავალი და როგორ შეიძლება ადამიანი დაუბრუნდეს ზემატერიალურ ცხოვრებას?

ჩემის აზრით ამ საკითხს წმინდა ნინომ 16 საუკუნის წინ უპასუხა, როცა ქართველ ერს ქრისტიანობა დაამოძღვრა.

რა არის ქრისტიანობა? უპირველეს ყოვლისა სათნოება და სიყვარულია, სიყვარული უანგარო მიძღვნილობით. ამისათვის მუდმივი ზრუნვა. ესა ქმნის ადამიანის შინაგან სამყაროს მაღალ სიფაქიზეს„ ესა ქმნის ადამიანის შინაგან სამყაროს მთლიანობას და ამავე დროს მასში წარმოშობს საზღვარს, რადგან „იმიჯენის (ისაზღვრება) ბორორისაგან“. ეს საზღვარი ადამიანის თვითკონტროლის და პასუხისმგებლობის ფუძეა.

სიძულვილით შეიძლება ყველაფრის მოსპობა და განადგურება. სიყვარული კი ჰქმნის ცხოვრებას თვალწარმტაცად და ეს არის ქრისტიანული მოძღვრების დედა აზრი.

ჩვენ არ ვიცით რა იქნებოდა საქართველო ქრისტიანობის გარეშე. დაბეჯითებით არც იმის თქმა შეიძლება, საერთოდ იქნებოდა საქართველო თუ მისი მოდგმა მოისპობოდა. ვიცით მხოლოდ, და გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანობის გარეშე ის ვერ შექმნდა იმ ბრწყინვალე წარსულს, თვალწარმტაც ისტორიას, რომლითაც ყოველი ქართველი ამაყობს.

ქართველი ერი მიეძღვნა ქრისტიანიზმს და ქრისტიანიზმმა შექმნა საქართველო. ჩვენი ერი იმ დღიდან გადაიქცა საერთაშორისო ძალად, რაც შეეიმტკნეთ ქრისტიანული სიფაქიზე და სიყვარული.

თვით ჩვენი იმები და სისხლის ღვრაც სიყვარულით არის გამოწვეული. ჩვენ გვიყვარდა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი მამული, ჩვენი მშობლები, ჩვენი შვილები და მათი არსებობა, მათი კეთილდღეობა იმს, სისხლის გაღებას მოითხოვდა და ჩვენ სიყვარულს სანთებელ მიძღვნილობით სისხლსა ვღვრიდით. ჩვენ ვიმობდით არა „ვინმეს დასაპყრობად, დასამონებლად“, არამედ ჩვენი ერის უკეთესი მომავლისათვის. „ამგვარ ცოდოს ღმერთი არ გვიწყენს, თავდები არის თვით სიყვარულიო“. აკი სიყვარულმა კიდეკი სძლია სიბოროტეს და საქართველო ყველა დამპყრობელთან ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა.

რუსეთ-ჩინეთისაგან სწორედ ეს გვანსხვავებს. ერთი, თითქოს ქრისტიანული, მეორე არა, მაგრამ ორივე ქვეყნის მოქმედების საფუძველი ანტიქრისტიანულია. მათ ამოძრავებს სიძულვილი და მტრობა. მათი იმების მიზანია სხვისა დაპყრობა, დაჩაგვრა და არა საკუთარი ქვეყნის უკეთესი მომავალი. რუსულ-ჩინური იმპერიალიზმის ბუნება ვერაფერმა ვერ შესცვალა: „ავსა კარგით ვერვინ შესცვლის თაესა ახლად ვერვინ აშობს“! ბოროტებით გამძვალული ამ ორმა ქვეყანამ თავისი წარსული დაანგრია და ახალის აშენებას ვეღარ ახერხებს, რადგან მათი მოქმედებიდან გამორიცხულია ნორმალური აღმშენებლობის წინასწარი პირობა — სიყვარული.

დღეს, წმინდა ნინოს დღესასწაულზე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არ არის საკმარისი ვაღიაროთ ქრისტიანიზმის როლი საზოგადოთ და წმინდა ნინოსი, კერძოდ საქართველოში და ვიამაყოთ ამით. საჭიროა გავაყვეთ მის გზას, ვიყოთ მომქმედები და წმინდა ნინოს ქადაგება, მიძღვნილობა და სიყვარული, მივიღოთ ჩვენ დღიურ ამოცანად.

მაშინ, მხოლოდ მაშინ გვიქნება უფლება ვიამაყოთ, რომ ჩვენ კვლავ ქრისტიანები ვართ.

გ. ზალდასტანიშვილი

(სიტყვა წარმოთქმული ქართული საზოგადოების ნადიმზე იანვრის 28-ს,)

**
*

თამარ მეფის პასუხი ნუშრადღინისადმი

„ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა დობილხარ, ხოლო მე არცა სიმდიდრესა და არცა ძალსა სპათა ჩემთასა, არამედ ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისა და ჯვარისა წმიდისა რომელი შენ ჰგმე აწ წარმომიფენია ყოველი მხედრობა ჩემი წინა მოგებად შენდა“.

**
*

„დავით აღმაშენებელის შესახებ საროწმენო ისტორიულ ცნობებს ჩვენ ენახულობთ მის დროინდელ ევროპელთა ნაწერებშიც. ასე, მაგალითად, ფრანგი ისტორიკოსი გოტიე, თავის 1122 წელს დაწერილ წიგნში — „ანტიოქიის ომები“ — დიდგორის ომის აღწერისას გადმოგვცემს, რომ დავით მეფემ ბრძოლის დაწყების წინ ჯარს მიმართა სიტყვით, რომელის „აზრი მოწონებული, მიღებული და შესრულებულიც ყოფილა“. ამავე ისტორიკოსის მიერ იქვე მოთავსებულია დავით აღმაშენებელის სიტყვა.

„ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძვით, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთ რამეს გერჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისათვის და სარგებლობისათვის კარგი იქნება: ესაა რომ ჩვენ ყველამ, ხელთა ცისალმი აღპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე უფრო მოვკვდებით, ვიდრე გავიქცევთ; და რომ არ შეგვეძლოს გაქცეცვა, რომც მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლით შევსულვართ, ხეთა ხშირ ხორგებით შეეკრათ, და მტკიცე გულით მტრებს, როცა მოგვიახლოვდებიან ჩვენზე იერიშის მოსატანად, სასტიკად შეეუტიოდ“.

„ქართული მეევრმეტყველობიდან“.

რაც საბჭოეთმა ემიგრაციის ინვაზია დაიწყო და ემიგრაციის უდიერესოგრო ნაწილი საბჭოთა მოქალაქეებში აითქვიფა, რომელსაც რუსული იმპერიალიზმის ქართველმა აგენტებმა „გარექართველი“ შეარქვეს, წმინიდა მოგვისმენია: „მე მათ (ე. ი. საბჭოელებს) უთხარი ბევრი შვილები იყოლინონ, საქართველო უნდა გამრავლდეს, რომ მოზღვავებულ მტერს გაუძლოსო“.

„გარექართველების ეს ფორმულაც შთაგონებულია, ან თავისი შინაგანი სისუსტის დასაფარავად, ცბიერობით არის მოგონილი.

საქართველო არასოდეს არა ყოფილა რიცხობრივად მტრის თანაბარი. თავისი ბრწყინვალე ისტორია და ოქროს ხანა, არ შეუქმნია მომხდურთან ერთი-ერთზე შეფარდებით. მამქორის ომში საქართველომ ხახეკარ მილიონანი მტრის ლაშქარი გაანადგურა, არა რიცხობრივი თანაბარობით, არამედ, სულიერი სიმტკიცედ. სამშობლოს მარადიულობის მაღალი რწმენით და სანმოშო მიძღვნილობით. თუ ერი გამარჯვების ამ წინდაწინ პირობას არ დაიცავს, მას არავითარი რიცხობრივობა არ უშველის.

საქართველოს მცირერიცხოვანობაც არ არის მარტო ერთ, ან ორშვილიანობის შედეგი. კაცმა რომ ფანქარი აიღოს და საუკუნენახევრის განმავლობაში ერის ნორმალური ზრდის გამოანგარიშება გაჰყვეს, — სახტად დარჩება.

რა იქნა ნამატი, სად წავიდა? იქნება ამის გამოანგარიშება და პასუხი რუსული იმპერიალიზმის ქართულ ენაზე დაბეჭდილ საარამაანგანლო გაზეთმა „სამშობლოს ხმამ“ ითათოს?

ჩვენის აზრით კი საქართველოს მოსახლეობის თითქმის ერთ რიცხვზე გაყინვა, იგივე რუსული იმპერიალიზმის წყალობაა და არა ერთშვილიანობა.

როგორც ცნობილია, პირველ მსოფლიო ომში რუსეთმა თავისი იმპერიის დასაცავად 300 ათასი ქართველი გაიყვანა. რამდენი დაუბრუნდა სამშობლოს?

მეორე მსოფლიო ომში ეს რიცხვი ორჯერ გაიზარდა და ქართველი ვაჟკაცი თავის დამპყრობელის ინტერესებს აკვდებოდა. რამდენი დაუბრუნდა სამშობლოს და რომელი მრავალშვილიანობა დაფარავს ამ დანაკლის?

ეხლა ცოტა ხნით მოუსმინოთ თვით კომუნისტურ პრესასს:

რუსული იმპერიალიზმის აგენტი და მოსკოვის თვალი და ყური საქართველოში, მაკვანაძე აცხადებს: „მეორე მსოფლიო ომს შეეწირა ოცი მილიონი საბჭოთა ადამიანი. საქართველოს 600 ათასზე მეტი შვილი იკავდა ჩვენი სამშობლოს თავისუფლებას სამამულო ომის ყველა ფრონტზე. იმ მგირთა შორის, რომლებიც დაეცნენ გერმანელ ფაშისტ და იაპონელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ ბრძოლებში, 300 ათასზე მეტი ჩვენი თანამემამულეა. (ვ. პ. მკავანაძეს სიტყვა. 7.11.1967 წ. გაზ, „კომუნისტი“).

აქ აღსანიშნავია, რომ „ჩვენი სამშობლო“ საქართველო კი არ არის, არამედ სხვა, მის გარეშე მდებარე ქვეყანა და ამ შემთხვევაში ჩვენი მპყრობელი რუსეთი, რომლის დაცვას და იმპერიალისტურ მიზნებს შეეწირა საქართველოს საუკეთესო ვაჟკაცები. ეს ერთი ზედმეტი გამომეღალვინებაა იმ ფაქტის, რომ, როგორაც დღეკვანდელ საქართველოში ხმარობენ „სამშობლოს“ მისი შინაარსია რუსეთი და არა საქართველო.

მკავანაძეს განცხადებით, თურმე „ჩვენ სამშობლოს თავს დასხმია გერმანელ-ფაშისტ-დამპყრობელებ და იაპონელ იმპერიალისტები. ეს ხომ მტკნარი სიცრუეა! საქართველოს მეფეს, არც გერმანელს და არც იაპონელს ბოროტი ზრახვა არ გამოუმეღავნებია. არც თავს დასხმია, არც ომი გამოუცხადებია„ საქართველო მსხვერპლი გახდა თავისი მპყრობელი რუსეთის ინტერესების და ამან შეიწირა ქართველი ერის საუკეთესო შვილები. რით ამაყობს მოსკოვის მონა მკავანაძე? იმით, რომ დამპყრობელ რუსეთს ანაცვალა 600 ათასზე მეტი ქართველი? ამაზე ისტორია თავის სიტყვას იტყვის! გავეკეთ კვლავ კომუნისტურ პრესას: „ომის დაწყებიდანვე სოფ. მერეკეველიდან 250 ახალგაზრდა წავიდა ფრონტზე. ამათგან დაიღუპა 157. სოფ ნაესაკოვიდა წასულ 200 ახალგაზრდიდან 115 არ დაბრუნებულა. სულ პატარა სოფ. ერკეთიდან 80 წავიდა, დაიღუპა 50. არტენიდან 50 კაცი მონაწილეობდა ომში, შინ დაბრუნდა 9. ქალაქები და სოფლები ძალებში იყო გაბვეული, ბევრს დღესაც არ გაუხდია შავი. მწუხარების აჩრდილი დღესაც აქრობს ღიმილს მათ სახეზე. ან რა ნუგეშში უნდა ეკეს ქართველ დედას, რომელმაც 5 ვაჟიდან ხუთიეე ომში დაკარგა, თუ თავის ერთას გამოეთხოვა? მათი ბედი მართლაც სამწუხარო და სავალალოა“.

„დიდი სამამულო ომიდან 210 ახალთერჯოლელი ვაჟკაცი ვერ დაუბრუნდა შშობლიურ კერას. შინმოუსვლელთა ხსოვნის უკვდავსაყოფად, სკოლის ეზოში დაიდგა 210 კაკლის ხე“. „თერჯოლის რაიონში ბევრი რამ კეთდება შინმოუსვლელთა ხსოვნის უკვდავსაყოფად. რაიონის მშრომელებმა გადაწყვიტეს, მეინარე ჩხარას ნაპირებზე გააშენონ შინმოუსვლელთა ხსოვნის ხეივანი. უკვე დარგულია 4.000 ძირი ნორჩი კაკლის ხე“.

„საგულისხმოა ზოდელთა თაოსნობა. ამ სოფელს სამამულო ომიდან 362 შვილი ვეღარ დაუბრუნდა. მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად აღმინისტრაციული სახლის ეზოში დარგეს 362 ძირი ხე“. „ადგენი. რიონის სოფ. ურის მშრომელებმა სამამულო ომში სამშობლოს დასაცავად 500 ვაჟკაცი გააცილეს, რომელთაგან 248 გმირული სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე“. „სამამულო ომში მარტო ზემო მაჩხაანიდან 800 მამაკაცი იბრძოდა ფაშისტური ურდოების წინააღმდეგ. აქედან 435 ვეღარ დაუბრუნდა თავის შშობლიურ კერას“. „ზემო მაჩხაანში ერთი ბაღია, სადაც 435 ხე შრიალებს. ყოველ ხეს თავისი სახელი და გვარი აქვს. არც თუ დიდი ხნის წინ ისენი ადამიანები იყვნენ, ვულადი, ვაჟკაცი, ახალგაზრდა ადამიანები, რომლებმაც სამშობლოსთვის გასწირეს თავი და ახლა ხეებად ამოვიდნენ, რომ ყოველ გაზაფხულზე გაიფოთლონ“.

ბარაქალა ქართველ ხალხს, ამ კეთილშობილური საქმისათვის. ბარაქალა მათ კეთილ მეზობლობას, რომ „შინდაუბრუნებლებს“ უკვდავების ძეგლებს უდგავენ.

რამდენათაც დიდი არის მსხვერპლი და წმინდა არის დამპყრობელი ქვეყნის ინტერესებისათვის დაქცეული ქართული სისხლი, იმდენად მოღალატეობრივი და დამნაშაურია მკავანაძეების როლი.

„უკანდაუბრუნებელთა“ უკვდავსაყოფად დარგული ყოველი ხე და ყოველი ძეგლი, ამადროს შთამომავლობას დარჩება რუსული მზაკვრული პოლიტიკის ძეგლად და მომავალი წუველა-კრულვით მოიხსენიებს ჩვენი ქვეყნის დღევანდელ მპყრობელს, თავისი ლენინურ-სტალინური ხალხთა ძმობის პოლიტიკით, რომელმაც საქართველო მოსახლეობის ერთ დონეზე გაყინა და საუკუნენახევრის განმავლობაში ორი მილიონი ახალგაზრდა ამოუჯლიტა.

დ. ახვლედიანი

**
*

„ხალხის მოღალატე, ორგულ და ანგარებით სავსე მეფეროვეებს ასე მიუთითებდა:

„იხილეთ იუდა — მტერი ყოვლისა ჭეშმარიტებისა: მოძღვარი ასწავლიდა სიმდაბლესა, იგი სწავლობდა ამპარტავნებასა; მოძღვარი ამცნებდა სიყვარულსა ყოველთასა, ხოლო იგი დაიმარხვიდა სიძულვილსა დიდსა . . . ქრისტე მისცემდა მადლსა განსხმად ეშმაკთა, ხოლო იუდა მოიწვევდა მოყვასად; ქრისტე მისცემდა ძილთა კურნებათა სნეულებასა, ხოლო იუდა სწყევლიდა მრთელთა; ქრისტე მისცემდა ხელმწყობასა აღდგინებად მკვდართასა, ხოლო იუდა მოჰკვლიდა აღმადგინებელსა მკვდართასა“.

სულხან-საბა ორბელიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიუჯეტი და ეკონომიური გეგმები

საბჭოთა კავშირის ისტორიაში პირველი შემთხვევა იქნება, რომ უსაჭიროეს მოხმარების საგნების წარმოება, ე. ი. მსუბუქი ინდუსტრია, მძიმე ისლუსტრიას პროცენტულად გაუსწრებს. ასეთია განმაცვიფრებელი დასკვნა, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ, ამა წლის (1967) ოქტომბერში უმაღლეს საბჭოების სესიაზე, სახელმწიფო დაგეგმის და ფინანსთა მინისტრების — ბაიბაკოვის და გარბუზოვის მიერ წარდგენილ ბიუჯეტით და 1968-1970 წწ. ეკონომიური განვითარების პროგრამით. თუ ციფრების თვალთმაქცობა არ არის და ნამდვილად უნდათ მსუბუქი მრეწველობის წინ წამოწევა და „სოციალიზმის მშენებლობის მიწურულში“ მაინც ხალხის მოთხოვნილების დაკმაყოფილება მართლა სურთ, მაშინ ამ დიდი გეგმის განხორციელება, პარტიისა და მთავრობისათვის, აუცილებელ საჭიროებად უნდა იქნეს მიჩნეული.

არც ერთ რეკომს, მით უმეტეს კომუნისტურ, არ შეუძლიან საბჭოთა ხალხი ნაირნაირი დაპირებებით და უკეთესი მომავლის ილუზიებით ხანგრძლივად კვებოს. კარგია სახელმწიფო უშიშროებაზე მუდმივი ზრუნვა, პრესტიჟისათვის ინტერ-პლანეტარულ რაკეტებზე კოლოსალური ხარჯების გაწევა, ან მსოფლიო კომეფნზმის მოძრაობის გასაფართოებლად უამრავი თანხების გაღება; ახლად წარმოშობილი სახელმწიფოების მატერიალური და ფულადი დახმარება, ან სადაზეერვო და საჯაშუშო საქმეებზე მილიონების უხვად ფლანგვა, მაგრამ ამას ხალხის კეთილდღეობა მაინც არ უნდა შეეწიროს.

კრემლის მესეეურები ხალხს მოზღვავებულ, მასიურ უკმაყოფილებას აშკარად გრძნობენ და ცდილობენ საბჭოთა მოქალაქეს ოდნავ მაინც შეუმსუბუქონ გაჭირვება, სიღარიბე, საქონლის ნაკლებობა და მძიმე ეკონომიური მდგომარეობა. საბჭოთა მთავრობის ეს ცდები ჯერ ბუნდოვანია და 1968 წ. ბიუჯეტში გადაწყვეტით არ არის ასახული.

ეს გარდაწყვეტილება უცხოეთში გავრცელებული ხმების სრული ტარაფოფაა. თავისუფალ ევროპაში ფიქრობს, თითქოს, თავდაცვის სამბანთ. საბჭოთა კავშირი, ძველ, ტრადიციულ ორიენტაციას ძირითადად უცვლელად სტოვებს: მძიმე ინდუსტრიის უპირატესობა ყველა პირველ რიგში სდგას. ულაოა, სამხედრო თავდაცვის საღირები გადიდებულია 14,5%-. როგორადაც არ უნდა გვეჩვენოს ეს მომატება, მაინც მცირეა. 1966 წ. შეიარაღებისათვის სახელმწიფოს ბიუჯეტის 12,8 % დაიხარჯა. ეს პროპორცია 1967 წ. 13.2% ავიდა, 1968 წელს 13,5 % მიაღწევს. ეს ყველაფერი ოფიციალური ციფრების მიხედვით, ისე კი სამხედრო შეიარაღებისათვის გაცილებით მეტი იხარჯება, ვიდრე ბიუჯეტშია ნაჩვენები. ისიც ეჭვმარიტებაა, რომ ყველა ასაგნობანი, რომელიც თავდაცვისათვისაა დანიშნული, საკუთრივ, სამხედრო ბიუჯეტში არ არის შეტანილი და ის განლაგებულია სხვადასხვა სამინისტროებში, დიდი ნაწილი კი საიდუმლო ფონდშია ჩარიცხული. მაგრამ მხედველობაშიც რომ არ მივიღოთ საბჭოთა ვაჭრის ფინანსიური კანონის ტექნიკური თავისებურობა და თვით ბუღალტერიის მოხერხებული შენიღბვა, ან დიქტატორულ მთავრობის ფარული საბიუჯეტო კომბინაციები, სამხედრო ხარჯების ზრდა მეტ- ნაკლებად შემცირებული და ზომიერია, თუ რა თქმა უნდა, დაძაბულმა საერთაშორისო მდგომარეობამ დადგენილი გეგმა რადიკალურად არ შესცვალა.

საბჭ. მთავრობამ ოქტომბრის 50 წლისთავის იუბილეს მოლოტოვში არ ისურვა ხალხისადმი მიმართულ თეზისებში, მათი დაშინება, დანაღვლიანება და ამიტომ სახელმწიფო დაგეგმვის მინისტრი ოპტიმისტურად აცხადებს, რომ მიუხედავად ცუდი ამინდებისა ამ წლის მოსავალი, დაახლოვებით, იმდენივე იქნება, რამდენიც გასულ წელს (მოსავლიანობის სარეკორდო წელი 1966). 1968 წლისთვის, მომდევნო წლებში გეგმა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის ყოველი დარგის სწრაფელ აღმავლობას. 1966 წ. და 1967 წ. მცხოვრებთა საშუალო შემოსავლის გადიდება გამოიხატა 5,9% და არა 5,3%, როგორც ამას პარტიის 23 ყრილობა ითვალისწინებდა. 1970 წ. საშუალო ხელფასი უნდა იქმნეს 115,2 მანეთი, მაშინ როდესაც 1966 წ. გეგმით ნავარაუდები იყო 114,4 მანეთი. დასაშვებია ეთქვათ, ყრილობის მაშინდელი დადგენილება სიფრთხილით იყო გამოწვეული, იმ მოსაზრებით, რომ ოქტომბრის მომავალ დღესასწაულის გამო, განზრახვა ჰქონდათ, მოსახლეობის მომადლირება. მაგრამ გათვალისწინება, დაპირება და შესრულება, წინასწარ შემოშავებულ გეგმას ყოველთვის არ ემთხვევა. ვინ იცის, რამდენი გეგმა, „მეცნიერულ საფუძველზე“ დაყრდნობილი, რამდენჯერ განეხორციელებელი დარჩა.

მხოლოდ ერთი კითხი რჩება უპასუხოდ: როგორაა შესაძლებელი ერთსაგან იმავე ფოლოცხოვრების მატერიალური ფონის გაუმჯობესება და თუნდაც ოფიციალურად ოდნავ მომატებული, სინამდვილეში კი, სამხედრო შეიარაღებისათუის, გაცილებით მეტი ხარჯების დაფარვა? 1968 წ. სახელმწიფო შემოსავალი გაიზრდება 8,300 მილიონი მანეთით, შემდეგ წლებში, პროგრესიულად და მიაღწევს სარეკორდო ციფრს — 123,5 მილიარდ მანეთს. ეს ზრდა, ფინანსთა მინისტრის აზრით, შესაძლებელია, რადგან საბჭოთა ეკონომიკა აჩქარებული ტემპით დიდ პროგრესს აკეთებს. აგრეთვე, ეს მას შესაძლებლად მიაჩნია ახალი სამეფონერო მართველობის რეფორმის განხორციელებით, რომელიც უკვე გატარებულია სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში. ამ რეფორმით წარმოების მოგება გაიზრდება 20%, რაც საკმარისი იქნება გაზრდილ ხარჯების დასაფარავად.

ამნაირად, თანახმად მთავრობის ოფიციალური ვარაუდისა, ახალი ეკონომიური პოლიტიკა გახდება უდიდესი მოგების და სახელმწიფოს შემოსავლის წყარო. მოსახლეობის ეკეთილდღეობის ურყევი საფუძველი. მაშასადამე, ეს ახალი ეკონომიური პროგრამა მიღებული და დამტკიცებული, უნდა გაგრძელდეს და გაფართოვდეს, რომლის მხურვალე დამცველი პარტია და მთავრობაა.

უმაღლეს საბჭოს სესიაც უცვლელად ადასტურებს დაწყებულ ექსპერიმენტების საჭიროებას, მწარმოებელთა და განმანაწილებელთა შორის „უშუალო კავშირი“, მით უფრო, როცა ნება დართულია პოლიტბიუროს მიერ და ისე, როგორც კოსიგინს და საბჭოთა ეკონომისტებს სურთ. ეხლა საქმე ეხება იმას, თუ როგორ შესძლებენ ბიუჯეტის კანონის და ეკონომიური გეგმის შესრულებას მომხმარებელთა მსუბუქი და კეკეის მრეწველობის გაზრდა-განვითარებას, ხალხს საკეთილდღეოდ და არა ხელისუფლების შესანარჩუნებლად.

ახლო მომავალი დაგვანახვებს, თუ რამდენად რეალურია კრემლის ლიდერების ეს ახალი დაპირება.

ს. ჭიოაქაძე.

მიხო ალშიგაია

(1908—1967)

აგვისტოს 13-ს, ქ. ჰამბურგში, (გერმანია), უცაბედად ცუდად იგრძნო თავი მიხომ. ვერც დაბარებულმა ექიმმა, ვერც ერთგული მეულლის მზრუნველობამ და ქალ-ვაჟის მოვლამ ვერ უშველა და უზენაეს განაჩენი ვერ შეაცვლეინა. . . ვული განაჩენს დაემორჩილა.

მიცვალებული გულწრფელად დაიტირა არა მარტო მრავალ მახლობელ ნათესავმა და მეგობარმა, არამედ ბევრ ნაკლებ მახლობელ და უცნობმაც, რადგან მიხო, ბუნებით გულკეთილი და ლმობიერი, ხასიათით ენერგიული და ბაბდული, ბევს შველოდა ომის შემდეგ დამდგარ ხანაში. ეს ხანა, მათთვის, ვინც გადარჩა და ალბად ემიგრაციის და საქართველოს ეჭვმარტ მემატიანისათვის დარჩება მოსაგონებლად, როგორც კაცზე ნადირობის დრო, სისხლის ეჭვმეის დრო . . .

რჩევით თუ დამოწმებით, საბუთებით თუ პირდაპირი, მოქნილი მოქმედებით, მიხო ცდილობდა გაეადვილებინა ბედი იმათთვის, ვის მომავალს თუ აწმყოს, მათი სურვილის უკეთხავად და სამართლიანი მიდგომის გარეშე, სწყვეტდა ვინმე ვეიცი და ხშირად გაბოროტებული მოხელე, ან მხედარი.

გამარჯვებული მოკავშირეების წინაშე იდგა მეტად რთული მრავალრიცხოვანი ლტოლვილების საკითხი„ მოკავშირეები დასაწყისში მოქმედებდნენ ფორმალურად მათ შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით, რომლითაც ლტოლვილების საკითხი გადაწყვეტილი იყო ზოგადად და მხედველობიდან მათ სრულებით გაშვებული ჰქონდათ საკუთარი მომავალი პოლიტიკა და ინტერესები და ვერც ერკვეოდნენ იმაში, თუ ვინ ნებსით, ან უნებლიედ, შეგნებით თუ შემთხვევით, გარკვეული მიზნით, თუ უმაღლესი იდეალის ნიადაგზე ჩათრეული იყო საშინელ ომში.

ამ დროს, როცა ბევრი მხლოდ პირად გადარჩენაზე ფიქრობდა, მიხოს ამხანაგური მოქმედება დიდად დასაფასებელია, მეტადრე ის ხომ თვით იყო დიდად პასუხისმგებელი პირადენება გერმანელ ამბავში: მიხო იყო წევრი ე. წ. საკავშირო შტაბის.

მიხო თოთხმეტი წლისა იყო, როცა ოჯახთან ერთად, 1921 წ. მარტში დასტოვა ბათუმი და მან ახალგაზრდობა გერმანია-პოლონეთში გაატარა. მისი შმობლები: გრიგოლ ალშიბაია და ბარბარა კიზირიას ასული, იყვნენ საკმაოდ ცნობილი საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზე. მათ ჰქონდათ უმაღლესი განათლება მიღებული გერმანიაში და ამგვარი „ევროპეიზმი“ მუდამ ფასობდა საქართველოში. ქართულ „პროგრესიულურ“ სინამდვილეთან მაშინდელ რუსეთის იმპერიის ხანას, მათ აკავშირებდა ისიც, რომ გრიგოლის ძმა ვლადიმერი, სამეგრელოს მთავრის მამულების გამგე იყო. (ვალოდია აგრეთვე ცნობილი იყო ფიზიკური აგებულობით, მასთან გვერდით ეტლში, კაცი ვერ დაჯდებოდა).

პირველი მსოფლიო ომის დროს, გრიგოლი, როგორც ექიმი, გაწვეული იყო ჯარში და დაინიშნა ბაქოში დასაწყისში ალშიბაიები, როგორც ფედერალისტები, რომლებსაც მაშინ ახასიათებდათ „ინტელიტუალურობა“ და „რეგიონალიზმი“ სულისკვეთება, თითქოს ვერ შეეგუვნენ უფრო ახალ და საქმიან მოქმედების გაწყვეტილებას, რომელიც ახასიათებდა მაშინდელ „ბოლშევიზულ“ მიდრეკილების ბაქოს ქართველობას. მაგრამ, როცა ბაქოს ქართული „კაპიტალიზმის“ ჩანასახი მოთავსდა ახლად დაბადებულ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში, გრიგოლი უკვე მატერიალურად გაძლიერებული, მიიმხრო ახალ პარტიას, მეტადრე, როცა პარტიის სათავეში მოხვდა ევროპიულად განათლებული სპირიდონ კედია. სპირიდონს მართლაც ღრმად ჰქონდა შეთვისებული საფრანგეთის პარლამენტარიზმი და მიუხედავად მისი „ფრანკოფილობის“ „გერმანოფილ“ გრიგოლზე, რასაკვირველია იმოქმედა არა მარტო საერთო პრაქტიკულმა ინტერესებმა და საერთო „ევროპეიზმა“, არამედ ადამიანურად გასაგები პროვინციალურმა განცდამაც.

ამ სხვა და სხვა მაშინდელ „ფილობას“ და პროვინციალიზმს ქართულ სინამდვილეში გაკვრით შეეხო ნოე ყორდანია თავის მემუარებში. უფრო ფართო სასტორიო მწერლობა კი ნაკლებად აქვს აღნიშნული „ორიენტაციების“ და „ფილობის“ ფაქტორი ქართველი ერის ვითარებაში. ეს საკითხი, ტრადიციულად, ჩვენში „ტაბუ“ არის და რჩება ძველ, ვახუშტი ქატონიშვილის საფუძველზე.

გრიგოლ ალშიბაია მტკიცედ იდგა საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე და შეიძლება ითქვას, რომ ის იყო ღვიძლი შვილი საქართველოს სახელმწიფოებრივი თავისუფლების იდეის, რომელიც მთელიანად და აღფრთოვანებით ახასიათებდა მაშინდელ ქართულ საზოგადოებას.

ამ იდეების დუღილში აღიზარდა მიხო, როცა ეთამაშებოდა თავის ტოლებს სოფელ კიკეთში, სადაც ბაქოს „ბურჟუაზია“ საზაფხულოდ იყრდა თავს. კიკეთი, ბორჩალოს მაზნაზე, იყო კოჯრის ქორწილის ციხის კლდის ძირას და მაშინ ბავშვებს ჯერ არ ესმოდათ ისტორიული სიმბოლო, შემონახული კოჯრის ნაპრალებში, იმ ეკლესიის ნანგრევებში, სადაც საკვირველად შენახული ნაწილი კედლური ღვთისმშობლისა დაჰყურებდათ მათ. სურათი მართლაც იყო მისტერიული, უდაბნო ადგილი და ნანგრევები საშინელი. გაშეშებული ბავშვები ვერ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს და დიდხანს ვერ ჩერდებოდნენ ნანგრევებში„ ღვთისმშობელი თითქოს იზიდავდა, მაგრამ აკანკალებდა მათ.

კიკეთი და მისი მიდამო ერგო ლევან მამულაიშვილს ძველი ერთიანეთის გვარის ონიკაშვილებისაგან. ლევანმა იქ აიგო კოხტა სახლი მაღლობის პირას, რომელიც გადაპყურებდა ქართლის ველს. ადგილი იყო მშვენიერი და პატარა მიხომ მაშინ რა იცოდა, რომ ემიგრაციაში უკვე დაეფაკაცებული, ის ცოლად შეერთავდა კიკეთის პატრონის უნცროს ქალს, — ნაზ და კეთილ ილენტას.

მიუხედავად სხვადასხვა ენებზე და სხვადასხვა ქვეყნებში სწავლისა, მიხომ მაინც შეინარჩუნა ქართული ენა და გრძნობა. როცა 1941 წელს, გერმანია შეეჯახა რუსეთს, ის მაშინდვე მოხალისედ წავიდა გერმანულ ჯარში. მას ამოძრავებდა არა თუ „გერმანოფილობა“ შმობლებისაგან გადმონაცემი, არამედ მძლავრი წადილი დაამარცხოს საქართველოს დამპყრობელი და დამჩაგვრელი.

მიხომ დამოიარნა თვალსაჩინო ვაეკაცობა და დაჯილდოვებულ იქმნა რკინის ჯვრით.

როცა გერმანელებმა საკავშირო შტაბი შექმნეს, მიხო შტაბის წევრად დაინიშნა. შტაბი შესდგებოდა მხოლოდ ოთხი პირისაგან. თავმჯდომარე იყო გიგი გაბლიანი და ეს წევრები: მიხეილ კედია და გიორგი მაღალაშვილი.

შტაბის მნიშვნელობა, პასუხისმგებლობა და საქმიანობა იყო ბედის გადამწყვეტი ქართველებისათვის იმდენად, რამდენადაც შტაბი და მისი წევრები მოახერხებდნენ ზოგჯერ ძნელ პირობებში, გერმანელებთან თანამშრომლობას, ქართული ინტერესების დაცვას, და რაც ზოგჯერ ძალიან ძნელი იყო, ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეების დაკმაყოფილებას ომის კვამლში დაბნეულ დროს, როცა ხშირად ყველაფერი ვერც ითქმებოდა.

საქართველოს მთავრობის შენახვა და მისი მატერიალური უზრუნველყოფა, ქართველ სოციალ დამოკრატების და ქართველ ებრაელების გადარჩენა, მრავალ რიცხოვან „ტყვეებზე“ მრავალნაირი მზრუნველობა, ქართული ლეგიონები, პოლიტიკური და სამხედრო მრავალი და ყოველდღიური საკითხები, გათვალისწინება გერმანიის გამარჯვების, ან დამარცხების, თანამშრომლობა კავკასიის ერებთან, ცდა გამორკვევის დასავლეთ მოკავშირეების ურთიერთობის რუსეთთან და მათი პოლიტიკის საბჭოთა კავშირის ერების მიმართ და მრავალი სხვა ამოცანა, გადაწყვიტა საკავშირო შტაბმა და მისმა წევრებმა და საქართველოს მომავალს და ერის სამსჯავროს გამოცდა პირნათლად ჩაბარა.

მიხოს შტაბში დანიშნვნამ თვით შტაბის წევრები გააკვირვა და, რასაკვირველია, სხვებიც. ის იყო მთლად უცნობი საზღვარგარეთელი წრეებისათვის. აღუჭურვილი პრაქტიკული ნიჭით, მიხომ ქართული სინამდვილის მეტი იცოდა, ვიდრე სხვას შეეძლო ეფიქრა და მისი გმირობა აღმოსავლეთის ფრონტზე ნაკლებ იყო ცნობილი. გერმანელებმა კი კარგად იცოდნენ ვის და რატომ ნიშნავდნენ შტაბის წევრად. გივი გაბლიანი იყო წარმომადგენელი იმ მძლავრი ფაქტორის, რომელსაც წარმოადგენდა საქართველოში აღზრდილი ახალი თაობა, თავის მრავალრიცხოვან მებრძოლებით და სრულიად ბუნებრივად შტაბის უფროსობა მას ერგო.

გიორგი მაღალაშვილი წარმოადგენდა ემიგრაციის ახალ თაობას, რომელმაც განათლება გერმანიაში მიიღო და გარკვეული მიზნით თეორიულად მომზადებული იყო საქართველოს საქმეებში მონაწილეობის მისაღებად.

მიშა კედია იყო წარმომადგენელი, პოლიტიკურად და რიცხობრივად, ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრისა, ქართული საზღვარგარეთელი საქმიანობის, როგორიც იყო, საფრანგეთი, და კერძოდ, პარიზი. მიშას საკუთარი ნიჭით და გამჭრიახობით ჰქონდა გაკაფული პილტიკური გზა. მას პრაქტიკულად ნაცადი და ძირიანად შეთვისებული ჰქონდა ქართული პარტიების, ჯგუფების და მიმართულებების სინამდვილე და სხვა და სხვა მოღვაწეთა ამბიციები და მათი ღირებულების მნიშვნელობა — და თვითონ იყო აღჭურვილი უმაღკო ქართული განცდით. მისი პიზნიცა შტაბში, როგორც შტაბის გარეთაც, განსაკუთრებული იყო და მისი უანგარო თავდადება კიდევ უფრო ასხივოსნებდა მის მოქმედებას. მისთვის პირადი და კერძო არ არსებობდა და გერმანელების დამარცხების შემდეგ, უდანაშაულოდ დასჯილმა და დევნილმა, გაჭირვებაში და ტრაღეიაში დაასრულა თავისი დღენი.

მიხო ალშიბაიას შტაბის წევრობას სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. ის წარმოადგენდა ქართველ მოხალისეს და მებრძოლს; „ეინის ჯარის პატრონს. მისი წევრობით შტაბს ომისათვის შესაფერისი მდგომარეობა ეძლეოდა; იგი ძლიერდებოდა გერმანულ დაწესებულებებთან ურთიერთობაში, რადგან რკინის ჯვარს ხშირად მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე რომელიმე პოლიტიკურ მოსაზრებას. („შტაბის თავმჯდომარეს ხშოლოდ შემდეგში ეერგო რკინის ჯვარი). მიხოს კარგად ესმოდა თავისი მდგომარეობა. თავდაბლობით და ბუნებრივი მოსმენლაობით, მან მაშინვე დაამსახურა შტაბის წევრების სიყვარული და პატივისცემა. მან შტაბში, თითქოს, ოჯახური ურთიერთობა შეიტანა, და მართლაც. ომის დასასრულს, გიეი გაბლიანმა შეირთო მიხოს და რუსურანი.

მაგრამ მიხოს მოქცევა საკმარისად მნიშვნელოვანი შეიქნა ქართველების საშინაო ურთიერთობისთვისაც. მიხო ამაგრებდა შეობისათვის საზოგადოებრივ აზრს. მაგალითად, როცა ის ომის დროს პარიზში ჩადიოდა, ცოლის ნათესაობის გარდა, მას იქ ბევრ ადამიანი საზოგადოებრივად საკმაოდ მნიშვნელოვანი ნათესავები.

მოვიგონოდ თუნდაც, აწ მიცვალებული შალვა აბდუშელიშვილი, ცნობილი თავისი ქართული მამულიშვილური შეგნებით და პატიოსნებით, რომელიც ხანგრძლივად იყო ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე საფრანგეთში. შალვას მეუღლე, ლიუბა ჩაჩიბაია, მიხოს მამიდისშვილი, დღესაც თვალსაჩინო და პატივცემული წევრია ქართველ ქალთა წრის პარიზში. მიხოს მამის ძმისშვილი თამარი კი ცოლად ჰყავს ელისე პატარიძეს, რომელიც მუდამ თვალსაჩინო მოღვაწე იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის და დღეს კი, ბუნებრივი მემკვიდრეობით, პარტიის ხელმძღვანელობა პარიზში მას ერგო.

საქართველოს პოლიტიკური ემიგრაციის პირველ თაობას, ალბად, ასულმდგმულებდა შეგნება, რომ მათ მიიყანეს საქართველო ძველ სახელმწიფოებრივ მიჯნაზე და მათი ცხოვრების ვადა უფრო ხანგრძლივ შთაბეჭდილებას ახდენს. მეორე თაობა, რომელმაც სხა პირობებში განიცადა „სიმუხთლე ყმისა“, თითქოს, ნაადრევად სცილდება საარაოს. მათ მოქმედებას, და მეტადრე მიხოს სიცოცხლეს, ახასიათებს რაღაც, თითქოს არა დასრულებული, დაუმთავრებელი . . . ბედნიერია მაინც ხსოვნა მათი, ვისი ცხოვრება თავსდება მნიშვნელოვან, თუნდაც ხანმოკლე, ისტორიულ წუთებში.

უფრო სუბიექტური და ადამიანური განცდით, შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ქართველების გლოვა ბუნებრივად უერთდება

ქართველი ქალი ჩვენს მატიანეში

(გაგრძელება. იხ. „ქ. აზრი“ № 77)

მრავალ დევნათა შემდგომ ოსმალებმა ქართველ ქალთა წინააღმდეგობას სძლია და აჰყენ ზეწყვნა საქართველო ქართველთა და ქართველის გამწვავებული დევნა. მატკიცე ზღუდე ქართულ ოჯახთა და ქართველ ქალთა მთლიანად გაარღვია მაჰმადიანურმა ტალღამ . . „ოფლესადრე“, ამბობს „ქართ. ცხოვ.“ მოოხრდნენ ეკლესიანი დიდ მშვენიერნი და იქმნებოდნენ პირუტყვთა სადგურ და ივლტოდიან ველსა-დცა, რომელთა არა ინებეს მაჰმადიანობა ქართლს, იმერეთს, ოდიშს, გურიას, კახეთს და წარაქვნდათ ხანნი და ჯვარნი . . . და შეიქმნა სრულიად მაჰმადიანობა წესითა და რჯულითა მთათა და აღშენებოდიან მეჩითნი; არა-მედ დარჩნენ ბლეხნი და იგინიცა უმწეენნი, ვითარცა პირუტყვნი . . .“

იმ ქართველთაგან, რომელნიც „ივლტოდნენ“ ქართულ კახეთისა და იმერეთისაკენ და თან მიჰყოლდათ გადამალული საეკლესიო განძეულობანი და ძველი ქართული წიგნები. პაველნი გახლდნენ ქალები, რომელთაც ქრისტიანობა და ქართველობა არ დასთმეს და ლტოლვილობაში ყოფნა არჩიეს.

ამ ნეტარხსენებულ ქალთა გუნდის სათავეში, სამშობლოსა და ქრისტიანობისათვის რომ ეწამნენ და აღესრულნენ, — ქეთევან დედოფალი სდგას.

კახეთის დედოფალი ქეთევან, დიდა თეიმურაზ პირველისა, ყოველის მხრივ მზნე და შეასანიშნავი ქართველი დედა და დედოფალი იყო, რომელიც მრისხანე შაჰასაბის მუქარას არ შეეშინდა,“ სამშობლოზე და სარწმუნოებაზე ხელი არ აიღო და ქვეყანას შეურყეველ სიმტკიცის მაგალითი უჩვენა. შაჰმა მისი შვილისშილები, სპარსეთში ქეთევანს რომ ახლდნენ, ამ გაუტეხელი ქალის მორალურ დასასჯელად, გასასჯელისა, რის შემდგომ პიველი — ალექსანდრე მალე მოკვდა, ხოლო მეორე — ლევანი, გაგიედა. დედოფალი მინც კლდესავით იდგა და ბოლოს, მირზას ცხოვრმა მრავალ წამებათა შემეგ სული დალია, მაგრამ ერს არ გადაუდგა. პიეტრე დელავალი, რომელიც ქართველი ქალის თაყვანის მცემელი იყო და რომელმაც ქართველი ქალის მშვენებას და სულიერ სიმდიდრეს ხოტბა შესახა, (იხ. ეკოტტი „დიენანი“) შეიქმნა მოჯადოებული დედოფლის უარყეგ სიმტკიცით. მოუხდადად ხანგრძლივი დევნისა, ცემა-გვემისა და ნაირნაირი წამებისა, გამხეცებულმა შაჰმა 1624 წ. სექტ. 22-ს ის მოაკლვეინნა და „სიკვდილს შეხვდა იგი მხნედ, ვითარცა უდიდებულესი მოწმეო“. დასძენს პ. დელავალე. ქართულმა ეკლესიამ დედოფალი ქეთევან წამებულ წმინდანებში ჩარიცხა.

შესანიშნავი ქალი იყო აგრეთვე ერეკლე მეფის დედა თამარი, ასული მეფე ვახტანგ მეექვსისა. თამარზე „ქართ. ცხოვ.“ ამბობს, რომ ის „იყო სადგურ კეთილისა და საუნჯე სათნოებისა“. ამ ქალმა დიდი სამსახური გაუწია სამეფოს და მრავალჯერ აიცდინა მას რისხეის და შურისძიების მახვილი ნადირ შახისა. მაგ., 1739 წ. ნადირი დაღესტანში იდგა და ომს აწარმოებდა, იმის ჯარს დიდი სურსათ-სანოვაგე სჭიროებოდა და მისი უახლოესი ზურგი ხომ კახეთი იყო. ამის გამო ხალხის ისედაც აუტანელ ბეგრასის, ახალი, უფრო მძიმე ემატებოდა. კახეთი გაჩანაგდა, წელში გაწყდა. შეწუხებული ქართველების წარჩინებულთა ერთი ნაწილი ნადირს გადაუდგა, მის ბრძანებას ალარ ემორჩილებოდა. შახმა წინად მოფიქრებული მზაკვრული გეგმა, — კახეთის სრულიად აყრა და სპარსეთში გადასახლება, ეხლა დროულად სცნო, — საქართველოს უდიდესი რისხეა უნდა დასტეხოდა. ამ დროს სამშობლო თამარმა იხსნა: მან დესპანობა იკისრა, გამოარჩია წარჩინებული ქალები და ნადირ შახს ეახლა, მან ხალხის განდგომის ნამდვილი მიზეზი აუხსნა და მეფისა და ერის ერთგულებაში დაარწმუნა. ნადირმა თამარის დესპანობა შეიწყნარა, დიდი წყალობანი მისცა და გამოიტყუებული დედის, დების და სიძეების გაებას და იქ, ეერობაში, მიხოს საფლავთან უფრო ახლო მდგომ ქვრივს, და დაობლებულ შვილებს. ღრმა სამძიმარსა და თანგარძნობას ვუძღვნით მათ.

აწ მიხო განისვენებს საფრანგეთში ქართველთა სასაფლაოზე. ლევილის სასაფლაო ქართველთა სამშობლოსადმი ერთგულების და მიძღვნილობის სიმბოლოა. ქართული იდეის დამცველებს თუმცა აქვთ „მოწამე ქეკლი“, მათზე მაინც ითქმის, რაც დიდმა ქართველმა სოქვა, სხვა საბედისწერო ბრძოლის გმირებზე: „ოქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით, რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაიჩნდების, საშვილისშვილად გარდაეცემის“.

ამგვარ „საშვილისშვილად გარდაკცმულთა“ ქართველებს მიეკუთვნა ლევილის ახალი მოსახლე მიხო.

ღმერთმა აცხონოს საქართველოსათვის თავდადებული მებრძოლი. . .

გ. ჯაკელი

სტუმრა. ასე ააცდინა დედოფალმა ქვეყანას შახის რისხვა. თამარისაგე გამჭრიახობას და სიბრძნეს უნდა მივაწეროთ, რომ თეიმურაზის წადილს ნადირი ნებას დაჰყვა და ის ჯერ კახეთში და შემდეგ ქართლში გაამეფა. ისტორიკოს ბოტკოვის აზრითაც ეს თამარის შუამგომლობით მოხდა, რომ შახმა თეიმურაზი კახეთის მეფედ დაამტკიცა და მას შეუერთა ქართლის ნაწილებიდან არაგვის პროვინცია, შემდეგ მასვე მისცა ბორჩალო და ქიზიყი, ქართლი კი ნადირმა ალექსანდრე ბაგრატიონს გადასცა„ მაგრამ შემდეგ მას თურქეთის ერთგულება შესწამა და ისევ ჩამოართვა, — ამ მდგომარეობით მოხერხებულად ისარგებლა თამარმა და ქართლის ტახტი თვითონ ჩაიგდო ხელთაო. მისი მიზანი იყო, როგორმე ქართელი და კახეთი შეერთებინა და ბაგრატიონთა ორი შტოს ბრძოლა, — ქვეყანას აკი რომ ასუსტებდა, მოესპო. ქართლ-კახეთის შეერთება დედოფალს დიდი სიფრთხილით და მოხერხებით უნდა ჩაეტარებინა, რადგან ამის საწინააღმდეგო ძალები მოჯარებებული იყო. ჯერ ერთი ქართლის ბაგრატიონები თავის უფფლებას არა სთმობდნენ, შემდეგ თვით შახიც ხომ წინააღმდეგი იყო ამ გაერთიანების, რადგან ეს სამეფოს გაძლიერებდა. ამას ზედ ერთვოდა ქართლის დიდ ფეოდალის — გივი ამილახვარის განდგომა ბაქარ მეფის სასარგებლოდ.

გივი თურქეთს იწვევდა მომხრედ და ამით თეიმურაზის დამარცხებას ლამობდა. თურქეზმა მართლაც დაიკავეს რუფისი და აპირებდნენ სურამის ციხეში შესვლას და იქ გივი ამილახვართან შეერთებას. სურამის ციხეში გამაგრებული გივი ვერაფრად ვერ მოსტეხა თეიმურაზმა, თუმცა ციხის ნაწილის აფეთქება შესძლო . . . ბოლოს მდგომარეობა ისევ თამარმა იხსნა. გივი დათანხმდა მხოლოდ თამართან მოლაპარაკებას და თეიმურაზისაგან მოითხოვა დესპანად თავის დედა წარეგზავნა. თამარმა იკისრა შუამდგომლობა და ბოლოს შესძლო გივის დარწმუნება, რომ წინააღმდეგობის გაწევა ქვეყანას დაღუპავდა და რომ ქართლის ბაგრატიონებს, (რომელთა უკანასკნელი მეფის ასული თვით იყო) და მთ მომხრე ამილახვარს არ უნდა ეშნოდეს, რომ თეიმურაზი ქართლის სამეფოს მოსპობს. თამარმა ის დაარწმუნა, რომ თვითონ იკისრებდა დედოფლობას და მმართველობას ქართლისას, ვითარცა ასული ვახტანგ მეფისა. გივი დათანხმდა, ციხე გადასცა და თვითონ კი თამარისა და თეიმურაზის რჩევით ნადირ შახს ეახლა.

თამარმა მართლაც შესძლო ნადირ შახი დაერწმუნებინა, რომ ქვეყნის დასამშვიდებლად უმჯობესი იქნებოდა მისი დამტკიცება ქართლის დედოფლად. ის გახდა ქართლის მბრძანებელი და ამნაირად განსახორციელი თავისი დიდი პოლიტიკური მიზანი: უმტკივნეულოდ შეამზადა ქართლ-კახეთის სამეფოთა გაერთიანება. ამ რთულ პირობებში თამარმა ნადირ შახიც გადაიბირა და ქართლის ზვიად ფეოდალთა გულიც მოიგო. ნამდვილად კი ქართელი კახეთს მეჩიდროდ გადაადა და ორივეს ბატონად თავისი ქმარი, თაიმურაზ მეორე გახადა. მისმა სახელოვანმა ძემ კი, დიდმა ერეკლემ, დედის მაღალი მამულიშვილური ზრახვა სრულიად განახორციელა და ქართლ-კახეთი თავის გვირგვინის ქვეშ მტკიცედ გააერთიანა . . .

ღვაწლმოსილ ქართველ ქალთა დას, ჩვენი მატიანე რომ ასე მომხიბვლელად აგვიწერს, კიდევ სხვა მრავალნი უმშვენებენ გვერდს. მაგრამ ეხლა ჩვენ ამათზე ვერ შეეჩერებინი. ვიტყვით კი რომ წარჩინებულ ქალებთან ერთად ჩვენი ისტორია ზშირად უბრალო ხალხიდან გამოსულ ქალებსაც იხსენიებს, რომელნიც სამშობლოს სამსახურისათვის შესაფერ წარჩინებას იღებდნენ. ხშირად გლეხის ქალები უდგნენ ჯეტბრად. ვინ შეურყეველი კლდე და უნახავდნენ ერს ენას, სარწმუნოებას, ტრადიციას და კულტურას. სწორავდნენ ქრმებს, შვილებს, ძმებს და ამით ქვეყნისა და მეფის ერთგულებას ბოლომდე ინახავდნენ. რით შესძლებდნენ მეფენი, ან წარჩინებულნი მრავალ რიცხოვან უცხო ძალების გამკლავებას და ქვეყნის გადარჩენას, რომ მდაბიო ხალხს მთელი თავისი მატერიალური შესაძლებლობა და საკუთარი თავიც მსხვერპლად არ მიეტანათ მაგალითებს მოყვანა შორს წაგვიყვანს: დავასახელოთ მატიანიდან ხხოლოდ ორიოდე: სეიმონ მეფე ერთ-ერთ ლაშქრობიდან დამარცხებული უკუ იქცევა. გზადა ისვენებს და ზოგ ეზლებლებითურ თავს შეაფარებს ერთ გლეხ დედაკაცს — ქვლავიძის ოჯახში. ქალმა სტუმრის ვინაობა არ იცის და სვიმონს ეკითხება პირველად მეფის ამბავს და შემდეგ თავის ქმრისა და შვილებისას, რომლებიც ბრძოლის ველზე იმყოფებოდნენ. მეფე, რომელიც ვეხის ქალს თავის ვინაობას უმალავს, უპასუხებს, რომ მისი ქმარშვილისა არა იცის რა, ხოლო მეფე კი უფენებლად გადურჩა მტერსაო.

დედაკაცი მას მიუგებს: „რადგან მეფე ცოცხალი გადარჩენია მტერს, მის სანაცვლოდ

ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ

ადამიანი მის დროს და 800 წლის შემდეგ

(სიტყვა წარმოთქმული ბ-ნ თ. ბაგრატიონის მიერ. შეერთებულ შტატებში არსებულ ქართულ სათვალთმოს საზეიმო ყრილობაზე დეკემბრის 18-, 1966 წ.)

***

შოთა რუსთაველი და მისი პოემა „ვეფხის ტყაოსანი ეკუთვნის მეცნიერსპეციალისტებს, რომლებმაც შეისწავლეს ეს საკითხი და რომლებმაც დაამუშავეს მყარი აზრი, როგორც ავტორზე, ისე მის პოემაზე. ჩვენმა ქართველმა თანამემამულეებმა, როგორც შიგნით, ისე უცხოეთში მცხოვრებმა, ამას დიდი ამაგი დაუდეს. პროფ. შალვა ნუცუბიძემ, აღ. ბარამიძემ, ალ. ნიკორაძემ, ნიკო ყიასაშვილმა, კორნელი კეკელიძემ, ვ. ნოზაძემ და სხ. ბევრი სწერეს რუსთაველზე და კიდევ თარგმნეს. უცხოელებმა, რომლებმაც შეისწავლეს ქართული და გახდნენ ქართულის სპეციალისტები, ახუ ქართველოლოგები, როგორც პროფ. რენე ლაფონი (ბორდოს უნივერსიტეტი), დ. ლეონი (ლონდონის უნივერსიტეტი), რობერტ სტინ.ვენსონი (ოქსფორდის) და ჟერარ ბარიტ (ლუვენის, რუსთაველის უდიდესი მცოდნენი არიან. პატივი უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე ძველი თაობა, რომლის წარმომადგენლებმა ამაგი დასდო რუსთაველის პოპულარიზაციას. მაგ. ინგლისური ენაზე პირველ მთარგმნელ მარკორი სკოტ უორდროპს, გრიგოლ რობაქიძეს, ნ. მარს და სხ. ამათ შეისწავლეს რუსთაველი, გამოთქვეს თავიანი აზრი და განავრცელეს. სპეციალისტები დღესაც აგრძელებენ შესწავლას თუ ვინ იყო, სად დაიბადა და სად გარდაიცვალა დიდი მოაზროვნე? დღესაც გრძელდება რუსთაველის ტექსტის შესწავლა-დადგენა და მის ფილოსოფიიზე აზრთა სხვაობა.

დღეს, რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავ ყრილობაზე ჩვენ ვებდავთ გამოსვლას იმ წინდაწინა რწმენით, რომ საზოგადოება მას მიიღებს, როგორც არა სპეციალისტის, მოსაზრებებს და ლმობიერი იქნება მის შეფასებაზი.

კონსტანტინე ბალმონტი, რომელმაც რუსთაველი უფრო ენტუზიაზმით თარგმნა, ვიდრე სისწორით, ხმაობს ოსკარ უოლდის ჭერ გამოთქმულ აზრს, რომ „დიდი პოემის თარგმნა ძვირფასი ნაჭარგის უკანა კედარია, ტექსტი ოგივეა, მაგრამ ფერუნის სილამაზე აკლიაო“.

ქართული ენის ღრმა ცოდნა არის საჭირო, რომ „ვეფხის ტყაოსანი“ სრულად განიცადო!

მაშ ვინ იყო შოთა რუსთაველი, ეს არა შვეულებრივი ადამიანი, რომელიც ცხოვრობდა 12-ტე საუკუნის დამლევს და 13-ს დასაწყისში? რატომ არის, რომ მისი სიტყვები თაობიდან თაობას გადაეცა და „როგორც დაუსრულებელი ძაფი მარგალიტისა“? რატომ შეიქმნა ის უკვდავი და რატომ გადაიცა ყოველი ქართველის საკუთრებად და თანდათანობით კი მსოფლიო კუთვნილობად? რით და როგორ აკისრულა ოვიდის სიმღერა, რომელსაც ალექსანდრე პუშკინმა უღამაზესი პოეტური ფორმა მისცა: „ხელის შეუხებლად აღვიშენე ძეგლი — და ხალხისათვის მისი მისადგომი გზები და მას ბალახი არასოდეს აღარ შემოადგებაო“.

***

იყვნენ შვილიცა და ქმარიცაო“. მთავარი იყო ერს თავისი წინამძღო�d და სარდალი, ხოლო სახელმწიფოს მისი მმრთველი არ დაჰკარგოდა და მას მომავალ ბრძოლებისათვის ერი კვლავ დაერაზმა. მეფე ასეთმა ერთგულებამ დიდათ გაამხეკვა, მან გლეხის ქალი დაასაჩუქრა და „მიერიდან“, ამბობს მატიანე, „აზნაურ ექმნა იგი, რომელ აწცა არიან ქვლევიძენი“.

მეორე მაგალითი: თეიმურაზი სპარსეთიდან კახეთს ბრუნდებოდა, რათა გრემში მის სახელოვან ციხეს, დედოფალ ქეთევანს ეახლოს, აქ მათ უნდა განაგრძონ მძიმე ბრძოლა სამშობლოს დასახსნელად. ძლიერ და მრისხანე შაჰაბასის წინაალმდეგ უთანასწორო ბრძოლაში კახეთს უდიდესი მსხვერპლის გაღება სჭირია. ეხლა ყველა ძალები უნდა გაერთიანდნენ, ყველამ უნდა მოწამებრივად თავი დაყოს, რათა მტერმა დაინახოს, რომ ქვეყნის ოხრებას ხა ძვირად დაუსვამენ. თეიმურაზმა ქიზიყზე გაიარა. იქ ერთმა გლეხის ოჯახმა ისტუმრა ეა, ოჯახის ბუურაკებმა, გლეხის რძლებმა, მეფეს ცხრა ბაკში უძღვნეს. ჯერ ყველანი ჩვილნი, აკკაშნი მწოლნნი . . . ეს იყო სიმამოლიური შეწირულება დედათაგან ერის სახსნელად მიძღვნილი. დაიწყო კახეთმა უსწორო ბრძოლა შახაბაზის წინააღმდეგ და თეიმურაზს გვერდით უდგნენ და სამშობლოს ახნად ეწირებოდნენ იმავე გლეხის შვილები.

(გაგრძელება იქნება)

თამარ პაპავა

შოთა რუსთაველმა შექმნა თავისთვის ეს უკვდავი ძეგლი და მისი ხსოვნაც ამოიჭრა ხალხის გულში. მართლაც მან გაუძლო შემოსევებს, მიწისძვრას, ომებს, რევოლუციას და წარღვნას ადამიანის მეხსიერებას კი შეორჩა.

შოთას ვინაობას ჩვენ თვით პოემიდან ვგებულობთ: ის ამბობს, რომ დაიბადა რუსთავში და არის მესხი — მესხეთიდან, ქვეყანა, რომელიც ნიპოსა და შემოქმედების ცენტრად თვალებოდა. საფიქრებელია, რომ ის სწავლობდა გელათის აკადემიაში და ათონში. 1960 წელს აღმოჩენენის წყალობით, შეგვიძლიან დავასკვნათ, რომ ერთ დროს ის ცხოვრობდა და გარდაიცვალა იერუსალიმის წმინდა ჯვარის მონასტერში, სადაც ერთ-ერთ სეეტზე მისი სურათია ამოხატული. დამაგებით და აღზრდით ის ეკუთნოდა თავისი დროის მაღალ საზოგადოებას — არისტოკრატიას, დიდებულთ და შეეძლო მონაწილეობა მიეღო სამეფო საბჭოში, — დარბაზში რომელიც ხშირად არის მოხსენებული პოემაში.

ულრმესი მადლობით ვიხსენიებ იმ მეცნიერებს, რომლებმაც შეისწავლეს პოემაში ნახსენები სახელები, აღწერეს და გამოიკვლიეს პოემის დაწერის დაახლოებითი დრო და შესაძლებლობა მოგვცეს წარმოვიდგინოთ თუ როდის ცხოვრობდა შოთა რუსთაველი.

პოემაში ნახსენებია თამარ მეფე, მისი მეორე მეუღლე დავით სოსლანი (1189-1207). იქ არის „პატარა დარბაზი“, რომელმაც მცირე ხანს იარსება და იქ სრულიად უგულვებელყოფილია მონაზოები, რომლებიც კაკაესიაში პირველად 1221 წ. გამოჩნდნენ, მაშინ, როდესაც პოემა მრავალ სხვა ერს იხსენიებს. ამისდა მიხედვით შეგვიძლიან დავასკვნად პოემის დაწერის დრო (1184-1207). ეს ის დროა როდესაც ჯერ კიდევ ისმოდა ჰესტინგების ბრძოლის ხმა. ეს იყო დრო კონსტანტინეპოლის დარბევის ჯვაროსნების მიერ და დრო, როდესაც სალადინმა ალყა შემოარტყა იერუსალიმს — (1187).

რუსთაველის, მისი პოემის და მისი ეპოქის გადაამა ჩვენ ვხედავთ, თამარ მეფის ბუმბერაზ ფიგურას. მისი სილამაზე, სიბრძნე და თავმდაბლობა საქართველოს გარეშეც იყო ცნობილი. მისი მხნეობა და ხასიათის სიმტკიცე ყველას მიერ იყო აღიარებული. ჩვენ შეგვიძლიან ადვილად წარმოვიდგინოთ მისი სინარნარე მის ახალგაზრდობაში, უფრო გვიან კი ბიზანტიის დიდებულების ბრწყინვალე ტიპი, როგორც მ ი ნ ი ი თანამედროვე მხატვრები წარმოგვიდგენენ მცხეთის კათედრალის და სხვა ტაძრების კედლებზე, რომელთაგან ოთხი მთგანი დღემდე კარგად არის შენახული.

რუსთაველის უკვდავი პოემა იწყება. თამარ მეფის დიდებით; მისადმი ფარული სიყვარულის და მიძღვნილობის გამოცხადებით. შოთა ამის გარდა სხვა ელოგიასაც იხსენიებს, რომელიც ჩვენამდე არ შემონახულა და საფიქრებელია მონგოლების ეპოქაში დაიკარგა. ხალხური ლეგენდის და ტრადიციის მიხედვით თამარს და შოთას უფრო მტკიდ აკავშირებენ, ვიდრე ეს, შეიძლება ყოფილიყო. ლეგენდა ამბობს, თითქოს, შოთა რუსთაველი უმიდო სიყვარულით იყო გამსჭვალული თავის დედოფლის მიმართ. „ვეფხნის ტყაოსანში“ შოთა ხშირად ხმაობს გაუუქლებელ სიყვარულს: როგორც რაინდი და კეთილშობილი მას სწამს, რომ „მაგრა დამაკე, არ გაჩნდეს შენი ცეცხლისა კვლა დგმა, ავად შეაფერის მიჯნურსა მიჯნურობისა ცხადება“. გასულ საუკუნეში ერთმა რუსმა პოეტმა, იაკობ პოლონსკიმ ქართული ხალხური სიმღერები გამოიყენა თავისი პოემებისთვის. ამათში ყურადღებას იქცევს „თამარი და მისი მგოსანი შოთა რუსთაველი?, სადაც აღწერილია რუსთაველის სიყვარული თამარისადმი და იძლევა ქუთაისთან ახლო მდებარე დედოფლის „ვარდის ციხის“ ბრწყინვალებას.

თამარ მეფე მეფობდა 1184 წლიდან და გარდაიცვალა 1213 წ. მისი მეფობა საქართველოსათვის ოქროს ხანა იყო. ის იყო შვილისშვილი მეფე დავით აღმაშენებელისა (1089-1125), რომელმაც გაიერთიანა ჩვენი ქვეყანა და დაიპყრო შირვანის სახანო დარუბანდამდე. მან დიდ გორთან (14 აგვ. 1121 წ.) გაანადგურა სელჯუკეთის და არაბების გაერთიანებული ლაშქარი, რითაც უდიდესი დახმარება გაუწია ჯვაროსნებს. უფრო გვიან (1122 წ.) დავით მეფემ განთავისუფლა თბილისი არაბებისაგან. დავით მეფემ თავისი გაღვენა უფრო გაეფართოვა და განამტკიცა, როცა მან იქორწილა ყიფჩაღების მეფის ასულზე, ხოლო თავისი ქალიშვილი მიათხოვა ბიზანტიის იმპერატორს. ალეს-ურბნისის თათბირის შემდეგ მან უდიდესი რეფორმები ჩაატარა სამღვდელოების და სწავლა-განათლების საქმეში. მან გამოიყენა კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის და ათონის დიდი სკოლების მაგალითი და მაღალ დონეზე დააყენა ღვთის მსახურება და სწავლა-განათლება. მისი უშუალო ინიციატივით დაარსდა გელათის აკადემია, სადაც მსოფლიოში სახელმოხვეჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა რუსთაველი

(დასაწყისი იხ. მესამე გვ.)

ილი სწავლულები მოიწვია, ამავე დროს მანვე დაარსა თბილისში მაჰმადიანური აკადემია, შირვანის სწავლულთა ხელმძღვანელობით.

ეკონომიურად, პოლიტიკურად და კულტურულად უმაღლეს მწვეფვალზე მდგომ და მსოფლიო ფაქტორად ქცეულ საქართველოს შვილია რუსთაველი. ამიტომ ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ მისი ღრმა განცდები, როდესაც ის სწავლობდა გელათის აკადემიაში, ან ბჭობდა თამარ მეფის დარბაზში, ან შთაბეჭდილებები სხვა ქვეყნებიდან მიღებული გარემოებებით, სადაც მან თვითონ იმოგზაურა, ან მოისმინა ვაჭრებისაგან, როდესაც ჯორა-აქლემების ქარავნებით მიმოჰქონდათ ძვირფასი საჭონელი. არ შეიძლება რუსთაველზე გავლენა არ მოეხდინა იმ დროინდელ დიდ მოვლენებს, რომლებიც აყალიბებდნენ მაშინდელ ცხოვრებას: ბიზანტიის ბედი; ხშირი კონფლიკტი რომსა და კონსტანტინეპოლს შორის, მოტანილი ამბები ჩინეთზე ინდოეთზე და არაბებზე, რომელიც ვრცელდებოდა მოარული მგოსნების ან ვაჭრების მიერ. იმ დროს ხომ ყველაზე ჩქარი მოგზაურობა იყო ცხენი, ყველაზე ჩქარი ზიარი კი იყო მტრედი და ყველაზე უფრო კარგი იარაღი იყო ისარი და ხანჯალი.

მიუხედავათ ამ სიძნელეებისა განათლებული ადამიანი მაინც კითხულობდა ლათინურს, ბერძნულს და არაბულს ორიგინალიდან და ადამიანი ფასდებოდა თავისი ვაჟკაცობით და რაინდობით.

ეს ის დრო იყო, როდესაც სელჯუკებმა პირველად აიღეს იერუსალიმი (1077) და უფრო გვიან (15 ივლისი 1099 წ.) ფრანგების მიერ განთავისუფლებული. იმ დროს იყო, როდესაც ბიზანტიის იმპერატორი იძულებული იყო ნიკეაში გადასახლებულიყო, კონსტანტინეპოლის ჯვაროსნების მიერ გაკარკვის გამო, მეოთხე ჯვაროსნობის დროს, როდესაც მათ მეტი ხალისი გამოიჩინეს ბიზანტიის დანგრევაში, ვიდრე იერუსალიმის გასანთავისუფლებლად.

1204 წელს თამარ მეფის ცხენოსნებმა დაიპყრეს ტრაპეზუნდი. ამ ომის მიზანი იყო დაებრუნებინა ტაბი ანდრანიკეს შვილისშვილისათვის — ალექსი და დავითისათვის, რომლებიც ბაგრატიონების მონათესავენი იყვნენ და თამარის კარზე იზრდებოდნენ. თამარ მეფის ძალები სინოფამდე მივიდნენ, მაგრამ მათი წინსვლა შეაჩერა თეოდორე ლასკაკმა, რომელიც ამ პერიოდში ამტკიცებდა ახალი ბიზანტიის ცენტრს.

იმ დროს საქართველო თავის ძლიერების უმაღლეს წერტილზა იყო და დასავლეთ ქვეყნებთან კავშირი თანდათან იზრდებოდა; ის აწარმოებდა კულტურულ გაცვლა-გამოცვლას და თავშესაფარს აძლევდა აღმოსავლეთის და დასავლეთის მეცნიერებეს.

ეს იყო აგრეთვე ის დრო, როდესაც ადგილი ჰქონდა დიდ თეოლოგიურ დავას რომსა და კონსტანტინოპოლის შორის და ჰერეზი ვრცელდებოდა სამსოწავლო ცენტრებში. ქრისტიანობის გამარჯვებით, რუსთაველის თანამედროვე „ლიბერალები", როგორიც იყო თვით მიხეილ პსელუსი, თავისუფლად გამოსთქვადნენ აზრს და ცდილობდნენ „ღიმღრინნათ ძველი ქვეყანა". მათ არ აკმაყოფილებდათ ნეოპლატონიზმი და უშიშრად მოქმედებდნენ ძველი ბერძნების სახეობის შესამცნობლად. მათ კიდეც იპოვეს საამისო გზა პლატონის და არისტოტელეს ფილოსოფიის წყაროებით, პლუტარქის და ჰერონიმოტეს ისტორიის შესწავლით და ეუკლიდის და პტოლომეს მათემატიკის შეთვისებით.

1045 წელს კონსტანტინეპოლში გაიხსნა უნივერსიტეტი, მართლმსაჯულების და ფილოსოფიის ფაკულტეტებით. სწავლობდნენ გრამატიკას, რიტორიკას და დიალექტიკას, არითმეტიკას, გეოგრაფიას მუსიკას, ასტრონომიას და მათ კოდნას აღამაღლებდნენ ფილოსოფიით. მაგრამ 1082 წ. იმპერატორს და ეკლესიას მოუხდათ ბრძოლა ბოგომილი მანიხეანეს და იოანე იტალიუსის ჰერეტიულ სწავლასთან, რომელიც პსელუსს მოადგილე იყო, და მხარს უჭერდა ნეოპლატონიზმს და არისტოტელის სწავლევის ენერგიული მომდევარი იყო. პსელუსი მართლმადიდებელ ეკლესიის ფარგალში თავსდებოდა, იტალიუსი კი კონფლიქტში იყო ქრისტიანულ დოქტრინასთან და „სულელური და ცარიელი სიბრძნე კერპთაყვანისმცემლების" აღიარა.

ჩვენის რწმენით შოთა რუსთაველი პსელუსის მომდევარი იყო. პსელუსი ბერად აღიკვეცა და თავისი დარჩენილი დღენი მონასტერში გაატარა. მან იქ განაგრძო წერა პლატონის მიბაძვით, ინტელექტუალურ სათნოებაზე: სიმამაცე, სიბრძნე, თავშეკავება, სიკეთე, მოთმინება სულის სიმაღლე და სხ. ამგვარი საკითხების დამუშავება დაისახა მიზნად, ქრისტიანული სიყვარულისა და შემწყნარებლობის საფუძველზე.

ამგვარი სათნოებით იზრდებოდნენ იმ დროინდელ აკადემიებში მოსწავლეები და ამ მაღალ ქრისტიანული სიფაქიზით გაამშვენიერა რუსთაველმა თავისი პოემის გმირები.

კონსტანტინოპოლიდან ჩამოსულ სწავლულებმა უდიდესი გავლენა იქონიეს გელათის აკადემიაზე. მათ გახადრეს კონსტანტინეპოლის მანგანის აკადემიის ტრადიცია. ამას გარდა რუსთაველი სწავლობდა სხვა შრომებსაც: დიდ ნეოპლატონისტ იოანე პეტრიწს, პსელუსის მიმდევარს, ეფრემ მცირეს და ექვთიმე ათონელს (950-1028), რომელმაც დაწერა „სიბრძნე ბალავარისა", ბუდას ახალგაზრდობის ლეგენდა — ადამიანის ბრძოლა თავის ვნებასთან გრძნობების დასამორჩილებლად და ხებისყოფის გასახთავისუფლებლად.

როგორც კი თამარ მეფის გავლენა გასცილდა შირვანს, შოთა რუსთაველი, განჯის დიდი პოეტი — ნაზიმის საშუალებით გაეცნო ისლამის სუფიტიკურ მისტიკას. აქ მან შეისწავლა ასტრონომია და ფეერების მნიშვნელობა, რომელსაც დიდებულად იყენებს თავის პოემაში.

შოთა რუსთაველის ეპოქაში საქართველოს სამი სამყარო ფარგლავდა: ქრისტიანული ელინური და მაზდეიული. მათი გავლენა დიდი იყო ენაზეც და ზნე-ჩვეულებებზეც, მაგრამ მგოსანმა და მისმა თანამემამულეებმა განტვირთეს ქართული ენა ამ გავლენებისგან და ის „ტკბილ ქართულად" აქციეს.

შოთა რუსთაველი უნდა წარმოვიდგინოთ, მაღალ ქრისტიანულ რელიგიურ პიროვნებად, რომელიც მუდამ სიმართლის და სამართლიანობის მაძიებელია. ამავე დროს ის შემწყნარებელია სხვა რელიგიების და პატივსაცემ. ეს ნათლად არის ნაჩვენები მის პოემაში.

შოთა რუსთაველის აღზრდის და განსწავლის წყარო, თვით პოემაშია მოცემული: ბერძნული ფილოსოფიის ღრმა ცოდნა, არაბული ასტრონომიის და მათემატიკის და სპარსული პოეზიის; ყველა ეს შეერთებულია ორიგინალური ქართულ გემოვნებასთან, როგორც ამას შემდეგ დავინახავთ.

„ვეფხის ტყაოსანი" პოემის მთავარ გმირების ხასიათის მოზაიკა. ის სიყვარულის და მეგობრობის, სიმამაცის და მეგობრობის სიმღერაა.

სიყვარულის ფიცი აერთიანებს ავთანდილს არაბეთის მთავარსარდალს, და მოხუცი მეფის, როსტევანის ერთად ერთ ქალიშვილს, თინათინს. ასევე ტარიელი მტკიცე მოჯღურობის ფიცით არის შეკრული ინდოეთის მეფეთა მეფის ქალიშვილ ნესტანთან. ორივე შემთხვევაში ქალი უფრო მაღალი წრისაა, ვიდრე ვაჟი და მასასადმე ქალი უცსდების სიყვარულ ეაკს. ორივე შემთხვევაში ქალი უკვე დარწმუნებულია ვაჟის გრძნობებში და მხოლოდ შემდეგ იღებს ინიციატივას. მაგრამ ამ ორ შეყვარებულ წყვილ შორის განსხვავება მაინც დიდია: პირველი შეყვარებულის მაღალ გრძნობების სიტკბობით და სიმშვენიერით დამტკბარი, მეორე კი სევდით და კაეშნით მოცული.

არაბეთის მეფე როსტევანი სიცოცხლეშივე ადგამს სამეფო გვირგვინს თინათინს, რის შემდეგაც მართავენ ლხინს და ნადირობას. შოთა აქ მკითხველს მათემატიკურ ამოცანას უყენებს მკითხველს: ვინ რამდენი ნადირი მოჰკლა? ეს პრობლემაა ორი უცნობით:

ორთავე ერთგან მოკლული ყველაი ასჯერ ო�a,
მაგრამ ავთანდილ ოცითა უფროსი დაუხოცია:
არ დასცდომია ერთიცა. რაც ოდენ გაუტყეორცია
თქვენი მრავალი მიწითა დასვრილი დაგვიხოცია".

მოულოდნელად დაინახავენ საზღაპრო მიზნდეველობის ახოვან რაინდს, რომელიც ევფხის ტყავით არის შემოსული. მეფეს აღეძრება მიხი ახლო ნახვის სურვილი და ბრძანებს მის მოყვანას. რაინდი მხლებლებს არ მორჩილდება, მაშინ თვით მეფე და ავთანდილი ამხეერდებიან მის შესაპყრობად, მაგრამ რაინდი მათ განერიდება და გაუჩინარდება. მეფეს ჩაუმწარდა ლხინი და „პირდაღრეკეული" მოიქცეა სახლში. თინათინი შეიტყობს მამის მწუხარების ამბავს და ავალებს ავთანდილს უცხო რაინდის ამბავის შეტყობას. სამი წლის ძებნის შემდეგ ავთანდილი შეხვდება ტარიელს ნესტან დარეჯნის მოსამსახურე ასმათის საშუალებთ, რომელიც ნესტანის საძებნელად გაჭრილ ტარიელს თან ახლავს. პოემის ორივე გმირი მიჯნურია, ე. ი. „სიყვარულით გაგიეტბული" და ზზად არიან შეასრულონ ყოველივე, რითაც კი შეიძლება თავის საყვარლებს დაუმტკიცონ სიყვარული. ინდოელი თავადი ტარიელი უამბობს ავთანდილს მისი ტყეში გაჭრის მიზეზს:

(გაგრძელება იქნება)

ინგლისურიდან თარგმნა **ალ. ჯინჯარაძემ**

ცივი ხელები

(ხალხურიდან)

ბივით მოადგნენ სახლს მახლობლები ა შორეულები.

პატარა ბონდო ტირილით მოეკლინა ქვეყანას და ფუთუთში ხელებს მაღლა იწევდა. სოფლის მოძღვარმა კისერზე ჯვარი დაჰკიდა ბონდოს და ივერიის კურთხეულ მიწას ერთი ქრისტიანი მიემატა.

***

ზანგეზურიდან გადმოსული მოხეტიალე ბოშათა გუნდეული ვარძიას დაბანაკდა . . . ბოშა დედაკაცმა ბონდოს ცუდი რამ უწინასწარმეტყველა. . .

— ცივი ხელების მსხვერპლი გახდებაო! აჩიფრიდდა უკბილო დედაკაცი.

თავზარდაცემულმა მშობლებმა კისრის ტეხით გაიგდეს წინ ბოშა დედაკაცი.

★

ბონდო მოჩიტდა, გაიზარდა . . მშობლების სიხარულს აბა ვინ განსაზღვრავს . . . გული ხარობს ღვთის მონაბოძოთი. ბოშადედაკაცის ნათქვამი ვიღას ახსოვს. ერთხელ ახალგაზრდებმა ცეკვა-სიმღერის საღამო გამართეს.

— იცეკვე ჩემთან ტურფა ასულო!

სთხოვა ბონდომ უცხოდ მოსულ თვალეუჟუნა გოგონას, თმაში ტყის გულჩრელი ყვავილები რომ დაებნია. გოგონა დასთანხმდა. რამოდენიმეჯერ. წრე შემოავლეს. ქალიშვილი დაიღალა, კუთხეში მიჯდა, მოიწყინა უცნობმა.

— რად შემოგწოლია სახეზე მწარე ნაღველი, სევდას ეგზომ რად შეუპყრიხარ ნეტარებავ?

თავს ევლება ბონდო. გოგონას ხელები გულთან მიიზიდა . . . ცივი ხელები.

— კიდევ ვიცეკვოდ თუ ხალისი გაქვს დაგენიცალე!

გოგონამ თანხმობის ნიშნად თავი ჩაღუნა.

„ჩემთან ასულო,
ჩემთან გენაცვა.
ჩემთან იცეკვე,
ჩემთვის გაშალე
შენი მკლავები
შენ დაგენიცალე!

ჩემთან შეშენებავ,
ჩემთან იმღერე,
ჩემთან ილხინე,
თუ გამახარებ
შენ გამახარებ,
შენ დაგენიცალე!

ჩემთან ცქრიალავ,
ჩემთან ოცნებავ,
ჩემთან იცეკვე,
ჩემთვის გაშალე
შენი მკლავები
შენ დაგენიცალე!

ჩემთან იტირე,
ჩემთან იგლოვე,
ჩემთან ათრთოლდი,
ერთად დავლიოთ
ტანჯვის ფიალა
შენ დაგენიცალე!"

ბონდომ გოგონას ხელები კვლავ გულთან მიიზიდა. . . კვლავ ცივი . .

—რათა გაქვს ეგრე ცივი ხელები?

ქალმა არა უპასუხა რა.

***

საღამო გათავდა . . . ყველაფერი მიწუნარდა, მიყუჩდა. . . წვიდ-წამოვიდნენ. ბონდომ სახლამდის გაცილება სთხოვა გოგონას, ჭრელ-ყვავილბიანს. სოფლის ბოლოს გაეიდნენ. ზაფხული იყო, მაგრამ გრილოდა. მთიდან ჰბერავდა ნიავი.

— გმადლობთ . . . ეხლა მე თვით წავალ მარტო!

სთქვა გოგონამ, როცა ისინი სოფლის სასაფლაოს მიადგნენ. ღაწლაშა მთვარის შუქზე მოსჩანდა თეთრი ეკლესია და ბაონარში ჩაფლული სახლის სახურავი. ქალმა პალტო გაუწოდა. ვაკმა არ გამოართვა.

—ხვალ მოგალ და წავიდებო!

სთქვა ბონდომ.

***

მეორე დღეს. განთიადისას, ბონდო სასაფლაოზე გაჩნდა. თკთრ ეკლესიასთან პატარა ლამაზი სახლი იდგა სამოთხისებურ ხეივანში ჩაფლული. ბონდომ ქალი იხმო, მაგრამ სახლიდან არავინ გამოსულა. მაშინ ვაემა ეზოს მიმოავო თვალი. ვიღაც კაცი დაინახა. ბაღში მუშაობდა, ნერგს მიწას აყრიდა. მებაღე იყო. მებაღეს ბონდოს პალტო ზედ მოეხურა. ფილა იყო და წვიმა ცოტათი სკრიდა.

„ეს ხომ ჩემი მოსასხამია", სთქვა თავისთვის მებაღეს მიესალმა და გოგონა იკითხა.

— ასეთი აქ არავინ სცხოვრობს!

მიუგო მებაღემ.

— როგორ არა . . გუშინ . .. ღამით მე თვით გამოვაცილე იგი აქ . . . მითხრა აქ ვცხოვრობო. . . ეს პალტო ჩემია, ღამე გრილოდა და ზურგზე მოვასხი, გაცივდებოდა!

სთქვა ბონდომ.

— ეს პალტო მე საფლავის ქვაზე ვიპოვე დაგდებული!

ბონდო და მებაღე უმალ იქვე გაჩნდნენ. სწორედ იმ ადგილას მიიყვანა მებაღემ ბონდო, სადაც პალტო ეპოვა. ბონდო საფლავის ქვას დააცქერდა.

— ღმერთო მიშველე . . . ის ქალიშვილი. . აი ის მკრთალი სახე . . . თმებში გულჩრელა ყვავილებით!

წამოიძახა ბონდომ.

მებაღე უხმოდ იდგა.

— აი ის გოგონა . . . სწორედ ის .. ჩემთან რომ ცეკვავდა და ღამით რომ გამოვაცილე!

კვლავ წამოიძახა ბონდომ და იქვე ჩაიკეცა სამუდამოდ.

მინდია ლაშაური

ქართულ სათვისტომოში

იანვრის 28-ს, ქართული სათვისტომოს თაოსნობით, ბერძნულ მართლმადიდებელ კათედრალში, გადახდილ იქმნა წმინდა ნინოს სადღესასწაულო პარაკლისი, რის შემდეგაც მოეწყო საერთო ნადიმი.

კათედრალში სწირა მოძღვარმა პაპანდრეუსმა. ქადაგების დროს, მრავალრიცხოვან დამსწრეთ მან აუწსნა წმინდა ნინოს დამსახურება საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებაში: მეფე მირიანის მოქცევა და საზოგადოთ საქართველოს თვალწარმტაცი ისტორია მაღალი მეკეგრმეტყველობით ასახა.

მამა პაპანდრეუსი არა მარტო ბერძენი საეკლესიო მოღვაწეა და თავისი მოვალეობის კეთილსინდისიერად აღმასრულებელი, არამედ ის გულწრფელი მეგობარია საქართველოსი. მან ღრმად შეისწავლა ქართული ქრისტიანიზმი და მისი უდიდესი დამცველი და გაბმავრცელებელი გახდა.

მამა პაპანდრეუსის დიდ ამაგს ქართველობა უაღრესად აფასებს და მას ჩვენი სიყვარული და პატივისცემა მუდამ მიეძღვნის.

1967 წ. ნოემბრის 16-ს, 91 წლის ასაკში, ქ. ვანვში, (საფრანგეთი) გარდაიცვალა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის ყოფილი თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას მეუღლე

ინა ჟორდანია

„ქართული აზრის" რედაქცია სამძიმარსა და ღრმა თანგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

1967 წ. აგვისტოს 13-ს, ქ. ჰამბურგში (გერმანია) გარდაიცვალა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის და გაერთიანებული ანტიბოლშევიკური ბლოკის გამოჩენილი მოღვაწე

მიხო ალშიბაია

„ქართული აზრის" რედაქცია ულრმეს თანაგრძნობას და სამძიმარს უცხადებს მის დაშურებულ დედას, მეუღლეს, შვილებს, დებს სიძეებს და მის მრავალრიცხოვან ნათესავებს და მეგობრებს.

G. A. Press

ღებულობს ყოველგვარ შეკვეთებს, როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე.

114 St. Mark's Place,
Tel.: 473 - 0240
New York 10009, N. Y.

საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

Mr. G. Djakeli
535 E. 78 Street,
New York, N. Y. 10021

ამავე მისამართით უნდა გამოიგზავნოს შემოწირულებები.

EDITOR IN CHIEF: M. Sindikeli.
EDITORIAL BOARD: G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia, Dr G. Gabliani.